

წესდება

მიღებულია -----ის

დამფუძნებელთა კრების მიერ

თბილისი

2017

პირველი თავი

პირველი მუხლი: ზოგადი დებულებანი

- 1.1. -----” (შემდგომში - ასოციაცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირს.
- 1.2. ----- წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3 საზოგადოების სრული სახელწოდებაა: -----”
- 1.4 სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, (ასოციაცია)
- 1.5 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ----- e-mail: -----.
- 1.6 საზოგადოება თავისი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. საზოგადოების ვალდებულებებისთვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს საზოგადოების საკუთარი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.
- 1.7. საზოგადოება, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მეორე მუხლი: საზოგადოების საქმიანობის მიზნები

- 2.1. საზოგადოების მიზნებია:
- ა) საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს ავეჯის მწარმოებელთა მხარდაჭერა და სტიმულირება;
 - ბ) წევრთა რესურსების მობილაზაციით ავეჯის მწარმოებელთა საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;
 - გ) ავეჯის წარმოების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანარგვის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს პროდუქტის დამზადებისთვის გაწეული დანახარჯების შემცირებას;
 - დ) წევრთა ინტერესეთა დაცვა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე;
 - ე) ავეჯის წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა ცნობიერების დონის ამაღლება და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

- ვ) პროგრამებისა და პროექტების განხორციელების მეშვეობით ასოციაციის წევრ საწარმოებში გააუმჯობესოს სამუშაო პირობები;
- ზ) კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კვლევით ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რაც მიზანად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების ტექნოლოგიურ და საწარმოო განვითარებას;
- თ) საქართველოს მთავრობასთან, საკანონმდებლო ორგანოსთან და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა;

მესამე მუხლი: საზოგადოების საქმიანობის ფორმები

3.1. საწესდებო მიზნების მისაღწევად საზოგადოება:

- ა) ავეჯის წარმოების სფეროში ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას;
- ბ) ავეჯის წარმოების სფეროს სრულყოფის საკითხებზე თანამშრომლობს საკანონმდებლო, აღმასრულებელ ორგანოებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან;
- გ) ასოციაციაში გაერთიანებულ პირთა საერთო ძალისმხევით ხელს უწყობს საერთაშორისო/ევრო კავშირის ბაზარზე საქართველოში წარმოებული ავეჯის კონკურენტუნარიანობას;
- დ) წევრიანდება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებში;
- ე) ზრუნავს წევრთა შორის ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნებისთვის;
- ვ) ქმნის საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- ზ) ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;
- თ) გამოსცემს საინფორმაციო და სარეკლამო მასალებს;
- ი) ახორციელებს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებული მოგება გამოიყენება საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას;
- კ) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

თავი მეორე

საზოგადოების მართვა

მეოთხე მუხლი: საზოგადოების დამფუძნებლები

1. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

-

-
-
-

საზოგადოების მართვა

მეხუთე მუხლი: საერთო კრება

- 5.1. საზოგადოების უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ წელიწადში ორჯერ;
- 5.2. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა საზოგადოების წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით.
- 5.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/4. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

მეექვსე მუხლი: საერთო კრების უფლებამოსილებები

6.1. საერთო კრება:

- ა) დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს საზოგადოების წესდებს და ცვლილებები შეაქვს მასში;
- ბ) ფარული კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა;
- გ) ისმენს საზოგადოების საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;
- დ) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- ე) დამსწრეთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;
- ზ) წევრთა ოთხი მეხუთედით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ;
- თ) იღებს გადაწყვეტილებას წევრის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ.

6.2. საერთო კრებას საზოგადოების საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშთან ერთად წარედგინება აუდიტის ფინანსური დასკვნა.

მეშვიდე მუხლი: რიგგარეშე საერთო კრება

7.1. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ან საზოგადოების წევრთა მეთედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

7.2. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა წინასწარ დადგენილი დღის წესრიგით და სრულდება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვისთანავე.

თავი მესამე

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

მერვე მუხლი: გამგეობა

8.1. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელიც შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 10 წევრისა. გამგეობის წევრებს 3 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება.

8.2 გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს როგორც საზოგადოების წევრი, ისე სხვა პირი;

8.3. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საზოგადოების თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგეობის წევრებს და საზოგადოების ტერიტორიული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში მოწვევისთანავე.

8.4. გამგეობის სხდომა შეიძლება ჩატარდეს ან მასში გამგეობის წევრმა მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების (ინტერნეტი, ტელეფონი და სხვ.) გამოყენებით (ვიდეო კონფერენცია).

8.5 გამგეობის წევრს ასევე უფლება აქვს წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ელექტრონული ფოსტა, ჩატი და სხვა) გამოხატოს პოზიცია განსახილველი საკითხის შესახებ და ამ სახით მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად გათვალისწინებული არ არის ფარული კენჭისყრის ჩატარება.

8.6. გამგეობა:

ა) გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით საკუთარი უფლებამოსილების ვადით ირჩევს საზოგადოების თავმჯდომარეს, ხოლო თავმჯდომარის წარდგინებით გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს მის მოადგილეს;

- ბ) იწვევს და ატარებს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვირით ადრე მაინც აცნობებს საზოგადოების წევრებს;
- გ) საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე ერთი თვით ადრე;
- დ) ფარული კენჭისყრით წყვეტს საზოგადოების წევრად მიღების საკითხებს;
- ე) ადგენს საზოგადოების წევრთათვის საწევრო გადასახადის ოდენობას და გადახდის წესს;
- ვ) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს საზოგადოების იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- ზ) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- თ) ამტკიცებს საზოგადოების მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსადგენად;
- ი) ამტკიცებს საზოგადოების სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;
- კ) წყვეტს საზოგადოების კოალიციებში, რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;
- ლ) საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის სხდომებზე იწვევს და ისმენს საზოგადოების ნებისმიერი თანამშრომლის, პროგრამების/პროექტების ხელმძღვანელების, საზოგადოების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, საზოგადოების ფილიალებისა და წარმომადგენლოებების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ანგარიშებს;
- მ) თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- ნ) თავმჯდომარის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;
- ო) ფარული კენჭისყრით წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს საზოგადოების თავმჯდომარეს და მის მოადგილეს;
- პ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

8.6.1 გამგეობის წევრის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყვეტა:

- ა) საზოგადოების წევრობის შეწყვეტისას;
- ბ) გამგეობის სხდომებში არასაკმატო მიზეზით ზედიზედ 6 თვის მანძილზე მონაწილეობის მიუღებლობისას;

8.6.2. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად

არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

მეცხრე მუხლი: თავმჯდომარე

9.1 საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს საზოგადოების თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე.

9.2 საზოგადოების თავმჯდომარეს და მის მოადგილეს თავის წევრთაგან გამგეობის უფლებამოსილების ვადით ირჩევს გამგეობა, ახლად არჩეული გამგეობის პირველსავე სხდომაზე.

9.3 თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს.

9.4 ახლად არჩეული თავმჯდომარე ასახელებს თავისი მოადგილის კანდიდატურას.

9.5 საზოგადოების თავმჯდომარისა და მოადგილის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება გამგეობის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

9.2. თავმჯდომარე:

ა) წარმართავს საზოგადოების საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;

გ) მოქმედებს საზოგადოების სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) წყვეტს საზოგადოების კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხს და ამის შესახებ აცნობებს გამგეობის წევრებს;

ე) ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას;

ვ) უძღვება საზოგადოების წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

ზ) ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ დოკუმენტებს;

თ) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ი) გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს გამგეობას;

კ) გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს საზოგადოების ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;

ლ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

9.3. მოადგილე თავმჯდომარის რწმუნებით ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. საზოგადოების თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.

9.4. თავმჯდომარის (მოადგილის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ

გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს (მოადგილეს) დარჩენილი ვადით.

9.5. საზოგადოების თავმჯდომარე და მოადგილე საზოგადოების საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მის წინაშე.

თავი მეოთხე

საზოგადოების წევრობა

მეთათე მუხლი: წევრად მიღება

10.1 საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს სამედიცინო, სახიფათო და სხვა ნარჩენების მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირი, ასევე ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი რომელიც იზიარებს საზოგადოების მიზნებს.

10.2 საზოგადოების წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს საზოგადოების გამგეობას. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

10.3. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს საზოგადოების საქმიანობას, საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს საზოგადოების საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება საზოგადოების წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

10.4 საზოგადოების დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

მეთერთმეტე მუხლი: საზოგადოების წევრობის შეწყვეტა

11.1. საზოგადოების წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
- დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას;
- ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად გამოცხადებისას;
- ვ) გარდაცვალებისას;
- ზ) ლიკვიდაცისას;

11.2. საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების წევრი შეიძლება გაირიცხოს საზოგადოების, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მეთორმეტე მუხლი: დამფუძნებელ/წევრთა უფლება-მოვალეობანი

12.1 საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობდეს საზოგადოების საერთო კრების მუშაობაში;
- ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების მმართველ ორგანოებში;
- გ) საზოგადოების მმართველო ორგანოებში საზოგადოების დამფუძნებელი/წევრი იურიდიული პირები მონაწილეობენ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით;
- დ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების პროგრამულ საქმიანობაში;
- ე) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;
- ვ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
- ზ) საზოგადოების მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

12.2 საზოგადოების წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას საზოგადოების წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ბ) გაუფრთხილდეს საზოგადოების ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
- გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობაში;
- დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს საზოგადოების მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმები;
- ე) გამგეობის მიერ დადგენილი წესით და ოდენობით გადაიხადოს საწევრო გადასახადი;

მეცამეტე მუხლი: საზოგადოების ქონება

13.1 საზოგადოების ქონება იქმნება წევრთა საწევრო შენატანების, სხვა პირთა (ასევე წევრთა) შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

13.2 საზოგადოების ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

თავი მეხუთე

მეთოთხმეტე მუხლი: საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) რეორგანიზაცია

14.1 საზოგადოების რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2 საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად.

14.3 ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, დარცენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

14.4 დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

14.5 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაღვრავენ საზოგადოების დამფუძნებლები. საზოგადოების ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

- ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
- ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
- გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

14.6 აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება საზოგადოების დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

14.7 თუ საზოგადოების დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამოდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს რომელსაც აქვს იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ საზოგადოების. თუ ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციის გამოვლენა შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ.

14.8 ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

14.9 საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

თავი მეექვსე

მეთხუთმეტე მუხლი: დასკვნითი დებულებები

16.1 წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

16.2 თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.